

შპს „ოაზისი 9“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ოაზისი-9"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
			ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	25627	2752	649903	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	221474	59635	112989	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1001004	1066117	1472552	3.2
მარაგები	31			
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	31			
საინვესტიციო ქონება	9251120	9397651	9529208	3.3
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	745		
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	374319	294012	337071	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	957030			3.5
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	11830609	10820912	12101723	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	1901234	1561770	3567805	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	418591	419297	421000	
საგადასახადო ვალდებულებები	171572	168812	178107	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	49309	42095	158038	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			753	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	117860	62901	305327	3.6
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	2658566	2254875	4631030	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	2923786	2888864	2888864	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	6248257	5677173	4581829	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომონენტები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	9172043	8566037	7470693	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11830609	10820912	12101723	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.09.2021 წ.				
დირექტორები:	ზ. იაკობიძე			
	დ. მიმინოშვილი			

შპს "ოაზისი-9"				
საქმიანობის შედეგები				
		ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო პერიოდი			
	2020	2019		შენიშვნა
ნეტო ამონაგები	798581	1384353		3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან				
- მომსახურების გაწევიდან	759789	1376062		
- სამშენებლო ხელშეკრულებიდან	38792	8291		
- სხვა ამონაგები				
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-37319	-59364		
- საწყისი მარაგები				
- მარაგების შესყიდვა				
- გადამუშავების დანახარჯები				
- საბოლოო მარაგები				
საერთო მოგება	761262	1324989		
სხვა საოპერაციო შემოსავალი				
დასაქმებულთა ანაზღაურება	-31481	-22957		
ცვეთა და ამორტიზაცია	-304861	-292004		
საპროცენტო შემოსავალი	121163	125229		
საპროცენტო ხარჯი	-5923	-10963		
იჯარის ხარჯი	-13578	-1154		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-101384	-81324		3.8
სულ საოპერაციო ხარჯები	-336064	-283173		
საოპერაციო მოგება	425198	1041816		
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება				
მ.შ. - ფინანსური აქტივების				
- მარაგების				
- სხვა არაფინანსური აქტივების				
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	111109	53151		
მიღებული დივიდენდები	26000			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	8776	378		3.9
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	571083	1095345		
მოგების გადასახადის ხარჯი				
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	571083	1095345		
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი				
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების				
სხვა				
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:				
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	571083	1095345		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	8566037	7470692		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	34923			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)				
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში				
კაპიტალის სხვა ცვლილებები				
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	9172043	8566037		3.10
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.09.2021 წ.				
დირექტორები:	ზ. იაკობიძე			
	დ. მიმინოშვილი			
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ოაზისი-9"			
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2020	2019	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-159217	-878216	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	117977	479556	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	64685	-254143	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	23445	-652803	
სავალუტო კურსის ეფექტი	-570	5652	
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2752	649903	
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	25627	2752	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.09.2021 წ.			
დირექტორები: _____	ზ. იაკობიძე		
_____	დ. მიმინოშვილი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ოაზისი 9“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 1996 წლის 29 მაისს საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 5ა/4-206. მისი საიდენტიფიკაციო კოდია – 211322736, იურიდიული მისამართი – საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ., N37-39, საოფისე ფართი N602. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელები არიან: ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547) – 50% წილის მფლობელი; დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651) – 50% წილის მფლობელი.

კომპანიის დირექტორები არიან: ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547) დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. არასაცხოვრებელი შენობები, რომელთა ფართები ქირავდება ან განკუთვნილია გასაქირავებლად, მდებარეობს თბილისში (კოსტავასა და თაბუკაშვილის ქუჩებზე). არაძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ოფისის სარემონტო სამუშაოები.

1.4. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს მეკავშირე საწარმო – შპს „ბიჯი ოილი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 402029719), რომლის კაპიტალში ეკუთვნის 50%, 2020 წლის 28 მაისიდან.

1.5. კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2020 წელს შეადგენდა 13 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ლარი საბანკო ანგარიშებზე	21806	2746
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	3821	6
სულ:	25627	2752

3.2. სხვა პირებზე გაცემული ავანსები და სესხები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	5532	752
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები	475	2
გადახდილი ბაჟი სასამართლოში განსახილველ საქმეებზე	568	468
გაცემული სესხები	994429	1064895
სულ:	1001004	1066117

3.3. საინვესტიციო ქონება - მიწა:

	ნაშთი 31.12.2020 წ. მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 წ. მდგომარეობით
მიწა ისნის რაიონში	3902169	3902169
„გრატოს“ შენობის წილხვედრი მიწა	158848	158848
მიწა თაბუკაშვილის ქუჩაზე	200300	200300
სულ:	4261318	4261318

საინვესტიციო ქონება - შენობა-ნაგებობები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
„გრატოს“ შენობა კოსტავას ქუჩაზე (ადმ. ნაწილის გარეშე)	3343081	34280	-172986	3481787
სასტუმროს შენობა თაბუკაშვილის ქუჩაზე	1646721	70270	-78095	1654546
სულ:	4989802	104550	-251081	5136333

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
„გრატოს“ შენობის ადმ. ნაწილის წილხვედრი მიწა	1428			1428
„გრატოს“ შენობის ადმ. ნაწილი	38693	308	0	38385
ძალოვანი, თბოტექნიკური და ტურბინული მოწყობილობები, დიზელ-გენერატორები	184827	45069	-28939	168697
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	146301	88710	-24256	81847
სხვა ძირითადი საშუალებები	3070	0	-585	3655
სულ:	374319	134087	-53780	294012

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა წლის ბოლოს შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 1712620 ლარს.

2019 წლის ბოლოს - 1407759 ლარს.

3.5. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში:

ამ მუხლში ასახულია ინვესტიცია 2020 წლის ბოლოს 957030 ლარის ოდენობით მეკავშირე საწარმოს - შპს „ბიჯი ოილი“-ს კაპიტალში, რომელშიც შპს „ოაზისი 9“-ს ეკუთვნის 50%. ინვესტიცია აღიარებულია მისი თვითღირებულებით, შპს „ბიჯი ოილი“-ს წილის შესყიდვისას წინა მესაკუთრისთვის გადასახდელი თანხის ოდენობით.

3.6. გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
სესხი ლარში „თიბისი ბანკიდან“		62901
სესხი ევროში „პროკრედიტ ბანკიდან“	117860	
სულ:	117860	62901

3.7. ნეტო ამონაგები

2019-2020 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა საიჯარო შემოსავლებიდან და იჯარით გაცემულ ფართებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისათვის მოიჯარეებისაგან მიღებული კომპენსაციებისაგან:

	2020 წელი	2019 წელი
საიჯარო შემოსავლები	759789	1376062
სარემონტო სამუშაოების კომპენსაცია	38792	8291
სულ:	798581	1384353

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2020 წელი	2019 წელი
სამუშაო მომსახურება	-44725	-9035
საკომუნიკაციო ხარჯები	-1187	-198
დაზღვევა	-134	0
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-4576	-4576
საექვო ვალების ხარჯები		-14271
ქონებისა და მიწის გადასახადები	-37346	-37457
სანოტარო ხარჯები	-238	-62
საბანკო ხარჯები	-1168	-298
საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	-5420	
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-6590	-15427
სულ:	-101384	-81324

3.9. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები:

	2020 წელი	2019 წელი
მოიჯარეების მიერ ზედმეტად გადახდილი თანხები და ჯარიმები	5544	420
გადახდილი ჯარიმები და საურავები	-291	-49
პანდემიის გამო დაწესებული შეღავათი სამემოსავლო გადასახადში	3519	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავალი/ხარჯი	4	7
სულ:	8776	378

3.10. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	2923786	2888864
გაუნაწილებელი მოგება	6248256	5677173
სულ:	9172043	8566037

2019-2020 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდების განაწილება არ მომხდარა.

2020 წლის აპრილში კომპანიის პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება წესდებით დადგენილი კაპიტალის გაზრდის შესახებ (წილობრივი მონაწილეობის შეუცვლელად) და ამ მიზნით გაზარდეს კაპიტალი ფულადი შენატანებით, 34923 ლარის ოდენობით.

3.11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დამფუძნებლის/დირექტორის წინაშე არსებული სახელფასო ვალდებულებები წინა პერიოდებიდან:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
გასაცემი ხელფასი (ზ. იაკობიძე)	209275	209275	
გასაცემი ხელფასი (დ. მიმინოშვილი)	209275	209275	
სულ:	418550	418550	0

3.12. სასამართლო დავები:

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელსაც. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

შექმნილმა სიტუაციამ გამოიწვია საიჯარო შემოსავლების შემცირება, მაგრამ ამის მიუხედავად, კომპანიას არსებითი სახის ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2021 წლის 1 იანვრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 21 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	25627	2752	649903	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	221474	59635	112989	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1001004	1066117	1472552	
მარაგები	31			3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	31			
საინვესტიციო ქონება	9251120	9397651	9529208	3.3
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	745		
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	374319	294012	337071	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	957030			3.5
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	11830609	10820912	12101723	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	1901234	1561770	3567805	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	418591	419297	421000	
საგადასახადო ვალდებულებები	171572	168812	178107	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	49309	42095	158038	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			753	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	117860	62901	305327	3.6
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	2658566	2254875	4631030	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	2923786	2888864	2888864	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	6248257	5677173	4581829	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომონენტები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	9172043	8566037	7470693	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11830609	10820912	12101723	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.09.2021 წ.

დირექტორები: _____



ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	798581	1384353	შენიშვნა 3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	759789	1376062	
- სამშენებლო ხელშეკრულებიდან	38792	8291	
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-37319	-59364	
- საწყისი მარაგები			
- მარაგების შესყიდვა			
- გადამუშავების დანახარჯები			
- საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	761262	1324989	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-31481	-22957	
ცვეთა და ამორტიზაცია	-304861	-292004	
საპროცენტო შემოსავალი	121163	125229	
საპროცენტო ხარჯი	-5923	-10963	
იჯარის ხარჯი	-13578	-1154	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-101384	-81324	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები	-336064	-283173	
საოპერაციო მოგება	425198	1041816	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	111109	53151	
მიღებული დივიდენდები	26000		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	8776	378	3.9
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	571083	1095345	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	571083	1095345	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	571083	1095345	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	8566037	7470692	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	34923		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	9172043	8566037	3.10

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.09.2021 წ.

დირექტორები:

ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-159217	-878216
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	117977	479556
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	64685	-254143
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	23445	-652803
სავალუტო კურსის ეფექტი	-570	5652
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2752	649903
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	25627	2752

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.09.2021 წ.

დირექტორები:



ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

